ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური სახდელის დაკისრების თაობაზე

ეთიკის კომისიის შემადგენლობა:
ციცინო ცხვედიანი - კომისიის თავმჯდომარე

გია ტაბლიაშვილი - კომისიის წევრი

ეკატერინე გასიტაშვილი - კომისიის წევრი

ზურაბ ძლიერიშვილი - კომისიის წევრი

პავლე აბაიაძე - კომისიის წევრი

თეა ჭეიშვილი - კომისიის წევრი

ზვიად კორძაძე - კომისიის წევრი

გოჩა სვანიძე - კომისიის წევრი

თორნიკე ბაქრაძე - კომისიის წევრი

ხათუნა გრიგალაშვილი - კომისიის წევრი

სანდრო ჯორბენაძე - კომისიის წევრი

ია გაბედავა - კომისიის წევრი

საჩივრის ავტორი – მ. მ.
საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი:03.08.2012

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი:109/12

ადვოკატი, რომლის მიმართაც არის საჩივარი შემოტანილი – ნ. კ. /სიითი №/

საჩივრის მოთხოვნა:ადვოკატ ნ. კ.-ისთვის ,,დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი

1. **საჩივრის ავტორის პოზიცია:**

1.1 2012 წლის 03 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ ნ. კ.-ისათვის დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, მან ადვოკატთან ურთიერთობა დაიწყო 2012 წლის 21 იანვარს. ადვოკატს უნდა დაეცვა მისი ინტერესები სასამართლოში ორ სამოქალაქო საქმეზე. საადვოკატო მომსახურების ჰონორარი შეადგენდა 300 (სამასი) დოლარს.საჩივრის ავტორს იმ ეტაპზე არ ჰქონდა თანხა, ამიტომ ადვოკატს შეუთანხმდა, რომ თანხას სასამართლო პროცესის წარმატებით დასრულების შემდეგ გადაუხდიდა. ადვოკატმა კი 100 %-იანი გარანტია მისცა, რომ პროცესს მოიგებდა.

1.3 საჩივრის ავტორის მითითებით, ადვოკატმა უთხრა, რომ მას საქმისათვის თანხა სჭირდებოდათ და ბინის იპოთეკით დატვირთვა სთხოვა. საჩივრის ავტორი ნოტარიუსთან გაჰყვა ადვოკატს, სადაც მ. მ.-ს განუმარტეს, რომ 3000 (სამი ათასი) დოლარზე ნაკლები ოდენობით სესხს არ გასცემდნენ. ადვოკატი შეჰპირდა კლიენტს, რომ მის ბინას ერთ თვეში "დაიხსნიდა", გადაიხდიდა იპოთეკის ხელშეკრულებით გათვალისწინებულ თანხას და კლიენტს დაუწერა შესაბამისი ხელწერილი. ნოტარიუსთან გამოცხადდა ასევე იპოთეკარი და 3000 (სამი ათასი) დოლარი მიუტანა საჩივრის ავტორს. მხარეებს შორის ხელი მოეწერა სესხისა და იპოთეკის ხელშეკრულებას.

1.4 საჩივრის ავტორის განცხადებით, მიღებული 3000 (სამი ათასი) დოლარიდან მან 500 (ხუთასი) დოლარი გადაუხადა ნოტარიუსს, 300 (სამასი) დოლარი ადვოკატს- შეპირებული ჰონორარის სახით, 1600 (ათას ექვსასი) დოლარი ადვოკატს ასესხა ერთი თვის ვადით, ხოლო თავად დარჩა 600 (ექვსასი) დოლარი.

1.5 საჩივრის ავტორის გამარტებით, ადვოკატმა არ შეასრულა სესხის დაბრუნების ვალდებულება, არ პასუხობდა მის ზარებს, ასევე არ იხდის პროცენტს. ადვოკატმა ტელეფონს მხოლოდ ერთხელ უპასუხა და სიტყვიერი შეურაცხყოფა მიაყენა კლიენტს. საჩივრის ავტორის თქმით, მისმა შვილმა ადვოკატს დააბრუნებინა 1000 (ათასი) დოლარი, დანარჩენი თანხა კი ნ. კ.-ს ჯერ კიდევ დასაბრუნებელი აქვს. საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ ადვოკატის ქმედების გამო ბინის დაკარგვის საფრთხის წინაშე დგას.

1.6 მ. მ.-მ 2013 წლის სექტემბერში ეთიკის კომისიაში წარმოადგინა დამატებითი ახსნა–განმარტება, რომლის თანახმად, ის არ ეთანხმება ადვოკატის 2013 წლის 17 სექტემბრის ახსნა–განმარტებაში ჩამოყალიბებულ ფაქტობრივ გარემოებებს. მისი განმარტებით ის არ უარყოფს, რომ გარკვეული თანხა ნ. კ.-მ დაუბრუნა დიდი კამათის შემდეგ, მაგრამ ის თანხა არ ფარავდა მისი ძალდატანებით იპეთეკით დატვირთული ბინის გამოსყიდვის საფასურს. შვილის მიერ

მანქანის შეძენასთან დაკავშირებით მ. მ. განმარტავს, რომ ის დიდი ხნის წინ ნ. კ.-ის გაცნობამდე იყიდეს, დედის ბინის გაყიდვის შედეგად.

1.7 მ. მ.-მ განხილვის კოლეგიის 2014 წლის 15 და 20 იანვრის სხდომებზე განმარტა, რომ ადვოკატ ნ. კ.-ს მიმართა მის ქონებასთან დაკავშირებით ჩადენილი თაღლითობის გამო. მან საადვოკატო მომსახურებისათვის მოსთხოვა 300 აშშ დოლარი, ხოლო მან განუმარტა, რომ ჰონორარის გადახდას დავის მის სასარგებლოდ გადაწყვეტის შემთხვევაში შეძლებდა. საჩივრის ავტორის განმარტებით, მას 3000 აშშ დოლარი არ სჭირდებოდა, მაგრამ ადვოკატმა უთხრა, რომ იმ მიკრო-საფინანსო ორგანიზაციაში 3000 აშშ დოლარზე ნაკლებ თანხას სესხად არ იძლეოდნენ, მან მიიღო თანხა 2400 აშშ დოლარი დადაუწერა ხელწერილი, რომ ერთ თვეში დაუბრუნებდა ვალს. იგი ამ თანხით საქმის გაკეთებას დაჰპირდა. ამის შემდეგ იპოთეკარი ითხოვდა თანხის გადახდას, ნ. კ.-მ ერთი თვის პროცენტი გადაიხადა და მას შემდეგ პროცენტის გადახდა თავად დაიწყო. პროცენტი შეადგენდა 120 აშშ დოლარს. ვინაიდან თანხას ვერ იხდიდა, ჩანაცვლება გააკეთა, იძულებული იყო ბინა გაეყიდა და ამიტომ დაკარგა ბინა.

1.8 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატის დაცვის სტრატეგიასთან დაკავშირებით მხოლოდ ის იცოდა, რომ საქმეს მოიგებდა. რაც შეეხება, ადვოკატისათვის მიბარების ხელშეკრულებით გადაცემულ თანხას, არ იცოდა ეს თანხა მას რისთვის სჭირდებოდა, მაგრამ ხელშეკრულებაში აღნიშნული ვადით ასესხა.

1.9 საჩივრის ავტორმა ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 თებერვლის სხდომაზე დაადასტურა მის მიერ საჩივარში, საპროცესო და განხილვის კოლეგიის სხდომებზე წარმოდგენილი ახსნა-განმარტებები.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა ნ. კ.-მ 2013 წლის 17 სექტემბერს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა ახსნა–განმარტება, რომლის თანახმად მ. მ.-მ 2011 წლის ნოემბერში მიმართა საადვოკატო მომსახურებისათვის სისხლის სამართლის საქმეზე. მ. მ.-ს მიაჩნდა, რომ მის მიმართ ჩადენილი იყო სისხლის სამართლის დანაშაული, კერძოდ მითვისებული იყო მისი კუთვნილი ბინა სხვა პირთა მიერ, ნოტარიუსის დახმარებით დაახლოებით 2005–2006 წლებში. მხარეთა შორის გაფორმდა ხელშეკრულება, ადვოკატმა გამოწერა ორდერი და შეისწავლა საქმე.

2.2 ადვოკატის განმარტებით, შესაბამისი განცხადებით მიმართა ძველი თბილსის პროკურატურას, იმავდროულად დაიწყო საქმისათვის საჭირო საბუთების მოგროვება. მ. მ.-მ აუხსნა, რომ ხელშეკრულების დადებისას ვერ გადაუხდიდა ჰონორარს, იანვრის ბოლოსათვის ელოდებოდა თანხას და მომსახურების საფასურს იმ დროისთვის აუნაზღაურებდა, რაც ხელშეკრულებაშიც აღინიშნა. მ. მ.-მ ასევე განუმარტა ადვოკატს, რომ თუ მოსალოდნელ თანხას არ მისცემდნენ, მას კიდევ სჭირდებოდა სხვა საქმეში თანხა და სესხს გააკეთებდა. სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას აღმოჩნდა, რომ მ. მ.-ის მიერ მოწოდებული ინფორმაციის 80% არ შეესაბამებოდა სიმართლეს. კერძოდ, ის გარდაცვლილად ასაღებდა თავის ბიძაშვილს, რომელიც თითქოს და ბებიის სახლში თანამემკვიდრე იყო და მის ნაცვლად სხვა პირებმა ნოტარიუსის დახმარებით მოახერხეს ბინის წართმევა. გამოძიების პერიოდში მათ მიერ დადგინდა, რომ ბიძაშვილი ცოცხალი იყო, თუმცა ალბათობა იმისა, რომ ქონება

გაყალბებული დოკუმენტებით იყო მითვისებული არსებობდა, ამავდროულად მან დაიწყო სამოქალაქო წესით საქმის წარმოებაც. ამ მიზნით ადვოკატმა სრულად მოიძია, კერძოდ გამოითხოვა არქივიდან ანდერძი, მინდობილობის ასლები, მ. მ.-ის ბიძის მიერ სხვადსხვა ორგანიზაციებში ხელმოწერილი დოკუმენტები, დაინიშნა კალიგრაფიული ექსპერტიზა, შეიტანა სასამართლოში სარჩელი, თუმცა სისხლის სამართლის საქმის წარმოებისას გამოვლინდა ისეთი გარემოებები, რომელიც მისთვის ცნობილი არ იყო და მ. მ. აშკარად ატყუებდა საქმეზე ინფორმაციის მიწოდებისას. მ. მ. აცხადებდა, რომ მისი ბიძაშვილი დაიკარგა და საქართველოში 1990 წლიდან არ ყოფილა. ადვოკატის განმარტებით, იძულებული გახდა შსს–დან ამოეღო ყველა იმ წერილის ასლი, რაც ადასტურებდა მ. მ.-ის ბიძაშვილის გ. მკრტიჩიანის საქართველოში ყოფნას. აღნიშნულ წერილებს მ. მ.-ს უგზავნიდნენ, წლების განმავლობაში. ეს ინფორმაცია კლიენტმა დამალა, თუმცა სრულად ამოიღო პროკურორმა აღნიშნული ინფორმაციები და მ. მ.-ს იქით დაემუქრა საქმის აღძვრით.

2.3 ადვოკატის განმარტებით, იძულებული გახდა მ. მ. გაეფრთხილებინა, რომ სიცრუით საქმეს ვერ მოიგებდა და სთხოვა შეეხვედრებინა მისი ოჯახის რომელიმე წევრთან, რომელთაც 5 თვის მანძილზე არ ახვედრებდა. ბოლოს ადვოკატი საკუთარი ინიციატივით მივიდა მისი რძლის (შვილის მეუღლის) სამუშაო ადგილზე, ნოტარიუსში და აუხსნა მდგომარეობა. მისი ოჯახის წევრმა სთხოვა შეეწყვიტა საქმის წარმოება, ხოლო როდესაც აუხსნა, რომ სამოქალაქო წესით შესაძლებელი იყო მ. მ.-ს მიეღწია სამკვიდრო ქონების ნაწილის მიღებისთვის, მან მ. მ.-ის შვილს გ. მ.-ს შეახვედრა, რომელმაც დაუყოვნებლივ მოსთხოვა საქმის წარმოების შეწყვეტა. აღნიშნულის თაობაზე ადვოკატმა ინფორმაცია მიაწოდა მ. მ.-ს. ადვოკატის განმარტებით, მან მ. მ.-ს აცნობა, რომ მისი ოჯახის წევრებს მოლაპარაკებოდა და საქმის წარმოება შეაჩერა. შესაბამისად, ის, როგორც ადვოკატი კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე მოქმედებდა.

2.4 ადვოკატი მ. მ.-ისაგან მიღებულ თანხასთან დაკავშირებით განმარტავს, რომ 2012 წლის იანვრის ბოლოს, მ. მ.-მ მიმართა თხოვნით, ვინაიდან მას ფულს ჯერ–ჯერობით ვერ აძლევდნენ, ხომ არ შეეძლო დახმარებოდა იპოთეკური კრედიტის აღებაში. ადვოკატი აღნიშნავს, რომ რამდენიმე მიკროსაფინანსო ორგანიზაცია და ე.წ. საშუამავლო ფირმის წარმომადგენელიიცოდა, რომელთა მისამართებიც გადასცა მ. მ.-ს. მ. მ. ამ ორგანიზაციებიდან ერთ–ერთს მოელაპარაკა და ნ. კ.-ს სთხოვა, რომ დასწრებოდა გარიგებას. ადვოკატმა გაიგო, რომ იგი იღებდა კრედიტის სახით 3000 აშშ დოლარს. ადვოკატის შეკითხვაზე თუ რაში სჭირდებოდა ამდენი თანხა, მ. მ.-მ უპასუხა, რომ ნაკლებს არ ასესხებდნენ, თორემ მას 2000 აშშ დოლარი სჭირდებოდა. ადვოკატის განმარტებით, ის ესაუბრა ე.წ. საშუამავლო ფირმის წარმომადგენელს და აუხსნა, რომ ასეთი პირობები არასწორი იყო, რის შემდეგაც ჩაშალა აღნიშნული გარიგება, მიუხედავად იმისა, რომ სწორედ ამ თანხიდან უნდა გადაეხადა კლიენტს მისთვის ჰონორარი. 2 დღეში მ. მ. კვლავ მივიდა მასთან და სთხოვა გაყოლოდა ისევ იმ საშუამავლო ორგანიზაციაში და აიღებდა 3000 აშშ დოლარს, ვინაიდან მისი შვილი მანქანას ყიდულობდა და ფულის დამატება სჭირდებოდა.

2.5 ადვოკატის განმარტებით, მ. მ.-მ აიღო კრედიტი, საიდანაც გადაუხადა 500 ლარი, ჰონორარის სახით, ხოლო დანარჩენი თანხიდან მან 1600 აშშ დოლარი მიბარების ხელშეკრულებით ჩაიბარა, ვინაიდან სამოქალაქო საქმის წარმოების პერიოდში, აღნიშნული თანხა დასჭირდებოდათ. მიბარებული თანხიდან საქმისწარმოებისთვის გაიხარჯა 100 და 50 ლარი

ბაჟის გადასახდელად და 180 ლარი ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში, სულ 330 ლარი (როგორც მისთვის ცნობილია ეს თანხა უკან დაიბრუნა მ. მ.-მ), ხოლო 200 აშშ დოლარი მ. მ.-ს გადასცა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ როდესაც მ. მ.-ის ოჯახის წევრებმა მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა, შეთანხმებიდან 2 დღეში მ. მ.-ის ვაჟს და რძალს ჩააბარა 1000 და 200 აშშ დოლარი, რაზეც რძალმა შეადგინა ხელწერილი. ადვოკატმა აღნიშნული ხელწერილი წარადგინა შსს–ის ვაკე საბურთალოს სამმართველოში. ხელწერილი ეთიკის კომისიაში წარმოსადგენად ჯერ–ჯერობით ვერ იქნა მოძიებული, თუმცა ადვოკატის განმარტებით, იგი წარმოადგენს მ. მ.-ის რძლის საუბრის ვიდეოჩანაწერს, სადაც ის ადასტურებს თანხის მიღებას.

2.6 2013 წლის 17 სექტემბერს საპროცესო კოლეგიის სხდომაზე ადვოკატმა განაცხადა, რომ დაახლოებით ერთი წლის წინ თვეების განმავლობაში ახორციელებდა მასთან მისული, პოტენციური კლიენტების ფარულ აუდიოჩაწერას. თუ მხარეთა შორის შეთანხმება შედგებოდა და მასთან მისული პირი კლიენტი გახდებოდა, მას ეუბნებოდა, რომ ხელშეკრულების პირობების განმარტება უნდა ჩაეწერა, ხოლო თუ პირი კლიენტი არ გახდებოდა, ჩანაწერი ნადგურდებოდა. ადვოკატი აღნიშნავს, რომ ამჟამად არ ახორციელებს მასთან მისულ პირთა საუბრის ჩაწერას. ადვოკატის განმარტებით, მსგავსი ქმედება გამოწვეული იყო ქვეყანაში არსებული სისტემისაგან თავდაცვისთვის.

2.7 ადვოკატმა განხილვის კოლეგიის 2014 წლის 15 და 20 იანვარს გამართულ სხდომებზე განმარტა, რომ საჩივრის ავტორმა მიმართა თაღლითული გზით წართმეული ბინის დაბრუნებასთან დაკავშირებით. საქმე შეიტანა ქალაქის პროკურატურაში, შემდეგ საქმე გადაეცა ძველი თბილისის პროკურატურას. მან სრულად წარადგინა კლიენტის მიერ მიწოდებულიმტკიცებულებები. საქმე ეხებოდა სისხლისსამართლებრივ დანაშაულს, ვინაიდან მ. მ.-ის ბიძაშვილი იყო გარდაცვლილი და მის მაგივრად ხელმოწერა სხვა პირმა შეასრულა. საქმისწარმოებისას აღმოჩნდა, რომ საჩივრის ავტორის ბიძაშვილი ცხოვრობდა კოსტარიკაზე, რომელმაც გასცა მინდობილობა მეზობელ ტატეოსიანზე. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მან განახორციელასისხლისსამართლებრივი პროცესუალური მოქმედებები და იმის გამო, რომ სხვაზე არ გასხვისებულიყო აღნიშნული ბინა სარჩელის უზრუნველყოფის მოთხოვნითმიმართა საქალაქო სასამართლოს. გააგზავნა წერილი სომხეთის იუსტიციის სამინისტროში, თავად საჩივრის ავტორმა გააგზავნა კოსტარიკაში წერილი, საიდანაც მიიღეს პასუხი, რომ მათ ჯერ ინფორმაცია არ ჰქონდათ, ხოლო შემდეგ დაადასტურეს, რომ მისი ბიძაშვილი ცოცხალი იყო. ადვოკატი აღნიშნავს, რომ კლიენტმა ბევრი ტყუილი უთხრა.

2.8 ადვოკატის განმარტებით, ის იმ პერიოდისათვის საადვოკატო მომსახურებას უსასყიდლოდ ახორციელებდა.საქმის სირთულიდან გამომდინარე ანაზღაურების სახით მოითხოვა ბინის ღირებულების 20%, 4000 აშშ დოლარი.

2.9 ადვოკატის განმარტებით, ვვარაუდობდა, რომ შეიძლება სამოქალაქო საქმე წაეგო, მაგრამ საქმის წარმოების სტრატეგიიდან გამომდინარე, დროის მოგების მიზნით და ბინის გასხვისების თავიდან ასარიდებლად საჭირო იყო ბინაზე ყადაღის დადება, ვინაიდან პარალელურად სისხლის სამართლის საქმესაც აწარმოებდა. დაცვის ეს სტრატეგია ცნობილი იყო კლიენტისთვისაც.

2.10 ადვოკატის განმარტებით, მ. მ.-ის შვილმა და რძალმა მოსთხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა. მან ვალდებულება აიღო ჰონორარის დაბრუნებაზე, თუმცა საქმის წარმოების გაგრძელების

შემთხვევაში, იცოდა, რომ მოიგებდა. საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტის ინიციატორი იყო შვილი, მაგრამ შვილი არ იყო კლიენტი, ამიტომ იძულებული გახდამისი მხრიდან მომხდარიყო ხელშეკრულების შეწყვეტა. ადვოკატმა კლიენტს აცნობა, რომ წყვეტდა მასთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებას და 300 აშშ დოლარის დაბრუნებაზე მისი რძლის ოფისში მოაწერა ხელი ხელწერილს. ამის შემდეგ მან კლიენტს 1000 აშშ დოლარი დაუბრუნა. დარჩენილი თანხის დაბრუნებასაც შეეცადა მოგვიანებით, მაგრამ მ. მ. მისგან 2000 აშშ დოლარის დაბრუნებას მოითხოვდა.

2.11 ადვოკატის განმარტებით, კლიენტი ინფორმირებული იყო, რომ ის წარმოადგენდა სისხლის სამართლის სპეციალიზაციის მქონე ადვოკატს. ხელშეკრულებაზე თანდართული იყო საადვოკატო მოწმობის ასლი.

2.12 ადვოკატის განმარტებით, მან მიბარების ხელშეკრულებით მიღებული თანხა სჭირდებოდა სასამართლოს მიერ დაკისრებული ჯარიმების გადასახდელად.

2.13 ადვოკატმა ფარულ ჩანაწერებთან დაკავშირებით განმარტა, რომ კომისიას თავად უთხრა ჩანაწერების განხორციელების თაობაზე. ის 2012 წლის 01 ოქტომბრამდე ნებისმიერ პირს, ვინც სამართლებრივ თემაზე მიდიოდა მასთან სასაუბროდ, ყველას საუბარს იწერდა მათი წინასწარი ინფორმირების გარეშე. ჩანაწერი ეხებოდა ჰორორართან დაკავშირებულ საუბარს, საქმის ისტორიას არ იწერდა. თუკი მეორედ კიდევ შეხვდებოდა კლიენტს, ყველა შეხვედრას იწერდა მისი თანხმობით. პირი, როგორც კი მისი კლიენტი ხდება, ფარულ ჩანაწერს შლის. ადვოკატი აღნიშნავს, რომ მას მ. მ.-სთან ფარული ჩანაწერი ჰქონდა, რომელიც შეეხებოდა მხოლოდ ჰონორარზე შეთანხმებას. საადვოკატო მომსახურების საზღაურად განისაზღვრა 500 ლარი და 4000 აშშ დოლარი მოგების შემთხვევაში.

2.14 ადვოკატის განმარტებით, მან ფული ისესხა და დაუბრუნებს საჩივრის ავტორს. ადვოკატის შეფასებით, მისთვის თანხის სესხება არ იყო დამოკიდებული ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობაზე და საჩივრის ავტორი მას თანხას ასესხებდა, ვინც არ უნდა ყოფილიყო, ვინაიდან ის იღებდა ვალდებულებას 120 აშშ დოლარი პროცენტის სახით გადაეხადა ყოველთვიურად. საჩივრის ავტორს არ უნდა ესესხებინა 3000 აშშ დოლარი, რადგან 2000 აშშ დოლარზე მეტი არ სჭირდებოდათ. 1600 აშშ დოლარი მას მისცა ერთი თვით. 1400 აშშ დოლარი ყველა ვარიანტში უნდა აეღო სესხად, პროცენტის სახით მას მაინც უნდა გადაეხადა 60 აშშ დოლარი, ხოლო თავად იხდიდა 120 აშშ დოლარს. ადვოკატის განმარტებით, მას ფინანსური ვალდებულება შესრულებული აქვს.

2.15 ადვოკატის განმარტებით, მას კლიენტის ნდობა ეჭვქვეშ არ დაუყენებია და მოქმედებდა მისი ინტერესებიდან გამომდინარე. 21 თებერვლის შემდეგ, ორი სარჩელი და განცხადება აქვს შეტანილი, რადგან მისი ადვოკატი იყო კიდევ, იმის გამო, რომ თანხა ვერ დაუბრუნა 21 თებერვალს. ადვოკატის განმარტებით, მას არც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მერვე მუხლის მეხუთე ნაწილი დაურღვევია, ვინაიდან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულებაში აღნიშნული იყო, რომ სამოქალაქო საქმეებზე მხოლოდ პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა მას, რისი უფლებაც არსებული კანონმდებლობით ჰქონდა. ამასთან, ის კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უწევდა კლიენტს მომსახურებას. ერთადერთი, რაც აუცილებლად უნდა გაეკეთებინა, ხარვეზის უნდა შეევსო.

2.16 ადვოკატმა ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 თებერვლის სხდომაზე განმარტა, რომ არ ეთანხმებოდა განხილვის კოლეგიის 2014 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებას საქმის მთლიანი შემადგენლობისათვის განსახილველად გადაცემის შესახებ, ვინაიდან მისი შეფასებით მას არ დაურღვევია არც ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონისა და არც ადვოკატთა პროფესიული ეთიკის ნორმები. ერთადერთი, რაც მას დამატებით უნდა გაეკეთებინა, იყო კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების წერილობითი ფორმით შეწყვეტა.

3. დისციპლინური დევნის აღმძვრელი საპროცესო კოლეგიის პოზიცია:

3.1 2013 წლის 26 სექტემბერს საპროცესო კოლეგიამ მიიღო გადაწყვეტილება ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის თაობაზე.

3.2 საპროცესო კოლეგიის შეფასებით, იმშემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ნ. კ. განმცხადებელს საადვოკატო მომსახურებას სამოქალაქო საქმეებზე უწევდა იმ დროს, როდესაც სპეციალიზირებული იყო სისხლის სამართლის კუთხით, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილი.

3.3 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ნ. კ. მ. მ.-სთან შეთანხმების გარეშე შეხვდა მისი ოჯახის წევრებს, რძალსა და შემდეგ კლიენტის შვილს, ხოლო როდესაც მ. მ.-ის ოჯახის წევრებმა მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა, შეთანხმებიდან 2 დღეში მ. მ.-ის ვაჟს და რძალს ჩააბარა 1000 და 200 აშშ დოლარი კლიენტის ინფორმირების გარეშე, შესაძლოა დარღვეული იყოს ,,ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი და ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეექვსე ნაწილი.

3.4 იმშემთხვევაში, თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მ მ. მ.-ისაგან მიბარების ხელშეკრულებით მიღებული თანხა გამოიყენა პირადი მიზნებისათვის და არ დაუბრუნა საჩივრის ავტორს შეთანხმებულ ვადაში, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი, ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-13 ნაწილი.

3.5 იმ შემთხვევაში თუ დადასტურდებოდა, რომ ადვოკატი ნ. კ. ახორციელებდა მასთან, როგორც ადვოკატთან, მისულ პირთა ფარულ აუდიო თუ ვიდეო ჩაწერას, შესაძლოა დარღვეული ყოფილიყო ,,ადვოკატთა შესახებ" კანონის მე-3 მუხლის ,,ა" ქვეპუნქტი.

4 განხილვის კოლეგიის პოზიცია

4.1 ეთიკის კომისიის თავმჯდომარის 2013 წლის 01 ნოემბრის მიწერილობით საქმე განსახილველად გადაეცა მესამე დისციპლინურ კოლეგიას. მესამე დისციპლინურმა კოლეგიამ სხდომა ჩაატარა 2014 წლის 15 და 20 იანვარს და იხელმძღვანელა რა ,,ადვოკატთა დისციპლინური წარმოებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის შესახებ" დებულების 36-ე მუხლით, 2014 წლის 20 იანვრის გადაწყვეტილებით საქმე განსახილველად გადასცა ეთიკის კომისიის სრულ შემადგენლობას.

4.2 განხილვისკოლეგიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ დარღვეულია „ადვოკატთაშესახებ“ საქართველოსკანონისმე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი დაადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-2, მე-3, მე-5 მუხლები, მე-8მუხლის მეხუთე ნაწილი.

II სამოტივაციო ნაწილი

5. საქმისფატობრივი გარემოებები

5.1 ეთიკის კომისიის მიერ დადგენილია შემდეგი უდავო ფაქტობრივი გარემოებები:

საჩივრის ავტორისა და მოპასუხე ადვოკატის პოზიციებიდან, ასევე საქმეში არსებული მასალებიდან გამომდინარე, ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია შემდეგი ფაქტობრივი გარემოებები:

5.1.1 ადვოკატი ნ. კ. იცავდა მ. მ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე და სამოქალაქო სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება
2. რწმუნებულება

5.1.2 ადვოკატი ნ. კ. ადვოკატთა ერთიან სიაში ირიცხება სისხლის სამართლის სპეციალიზაცის მქონე ადვოკატად, სიითი № .

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებას:
სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის“ ადვოკატთა ერთიანი სია

5.1.3 2012 წლის 23 თებერვალს მ. მ.-ს უარი ეთქვა სარჩელის და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიღებაზე, 2012 წლის 15 მარტს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ, 2012 წლის 19 მარტს მ. მ.-ს უარი ეთქვა სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების თაობაზე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2012 წლის 23 თებერვლის განჩინება სარჩელისა და სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების მიღებაზე უარის თქმის შესახებ
2. 2012 წლის 15 მარტის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ
3. 2012 წლის 19 მარტის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის თაობაზე

5.1.4 ადვოკატმა ნ. კ.-მ 2012 წლის 22 იანვარს კლიენტისგან, მ. მ.-ისგან ისესხა 1600 აშშ დოლარი ერთი თვის ვადით.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2012 წლის 22 იანვრის მიბარების ხელშეკრულება
2. საჩივრის ავტორის ახსნა–განმარტება განხილვის კოლეგიის სხდომაზე
3. ადვოკატის ახსნა–განმარტება განხილვის კოლეგიის სხდომაზე

5.1.5 ადვოკატი ნ. კ. კლიენტს თანხის დაბრუნებას შეჰპირდა 2012 წლის 27 აპრილამდე.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2012 წლის 21 აპრილისხელწერილი
2. ადვოკატმა კლიენტთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება შეწყვიტა 2012 წლის 21 აპრილს

5.1.6 ადვოკატმა კლიენტთან იურიდიული მომსახურების ხელშეკრულება შეწყვიტა საჩივრის ავტორის ოჯახის წევრების მოთხოვნით და ამის შესახებ 2012 წლის 21 აპრილს აცნობა კლიენტს ხელწერილის დაწერისას.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

ადვოკატის ახსნა–განმარტება განხილვის კოლეგიის სხდომაზე

5.1.7 ადვოკატმა ხელშეკრულების 2012 წლის 21 აპრილს შეწყვეტის მიუხედავად გააგრძელა მ. მ.-ის ინტერესების წარმოადგენა.

ეთიკის კომისია ეყრდნობა შემდეგ მტკიცებულებებს:

1. 2012 წლის 15 მარტის განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადებაზე ხარვეზის დადგენის შესახებ
2. 2012 წლის 19 მარტის განჩინება სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენებაზე უარის თქმის თაობაზე

5.2 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ საქმეში შემდეგი სადავო ფაქტობრივი გარემოებებია:

5.2.1 ნ. კ. სამოქალაქო საქმეზე სასამართლოს პირველ ინსტანციაში მ. მ.-ის ინტერესებს იცავდა როგორც ადვოკატი თუ როგორც მოქალაქე – რწმუნებული.

ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ რადგანაც საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულება დაიდო ნ. კ.-სთან, როგორც ადვოკატთან და ამავე ხელშეკრულებაშია დათქმა, რომ ნ. კ. იცავს მ.

მ.-ის ინტერესებს პირველი ინსტანციის სასამართლოში, ამით ნ. კ.-მ აიღო ვალდებულება მ. მ.-ის ინტერესები დაეცვა სამოქალაქო საქმეზე, როგორც ადვოკატს. ამის უფლება კი მას, როგორც სისხლის სამართლის განხრით სპეციალიზებულ ადვოკატს, არ ჰქონდა.

5.2.2 რა ვითარებაში შეწყვიტა ადვოკატმა ნ. კ.-მ მ. მ.-ის ინტერესების დაცვა და ამის შესახებ დროულად აცნობა თუ არა კლიენტს.

ეთიკის კომისიამ დადგენილად მიიჩნია, რომ ადვოკატი ნ. კ. მ. მ.-სთან შეთანხმების გარეშე შეხვდა მისი ოჯახის წევრებს, რძალსა და შემდეგ კლიენტის შვილს და როდესაც მ. მ.-ის ოჯახის წევრებმა მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა, იგი კლიენტთან შეთანხმების გარეშე დათანხმდა ხელშეკრულების შეწყვეტაზე და შემდეგ აცნობა კლიენტს.

6. შემაჯამებელი დასკვნა

საქართველო ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისია გაეცნო საქმის მასალებს, მოისმინა მხარეთა ახსნა-განმარტებები და მიიჩნევს, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ ჩადენილია დისციპლინური გადაცდომა.

7. სამართლებრივი შეფასება

7.1 ეთიკის კომისიამ მიიჩნია, რომ ადვოკატ ნ. კ.-ის მიერ დარღვეულია შემდეგი ნორმები:

7.1.1 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტი: „ადვოკატი ვალდებულია... კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები.“

7.1.2 „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის მე-6 მუხლის მეორე ნაწილი: ,,ადვოკატი ვალდებულია დროულად მიაწოდოს კლიენტს ყველა ინფორმაცია...“

7.1.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეხუთე ნაწილი: ”ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა.“

7.1.4 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მეექვსე ნაწილი: ,,ადვოკატმა კლიენტს მასთან შეთანხმებული წესით უნდა მიაწოდოს ინფორმაცია მასზე მინდობილი საქმის მსვლელობისა და საქმის წარმოების მოსალოდნელი ხარჯების შესახებ.“

7.1.5 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-5 მუხლი: „ადვოკატმა ყოველთვის უნდა იმოქმედოს კლიენტის ინტერესებიდან გამომდინარე და დააყენოს ისინი პირადი და სხვა პირის ინტერესებზე მაღლა.“

7.1.6 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლი: „ადვოკატისადმი კლიენტის ნდობა ეფუძნება ადვოკატის პირად ღირსებას, პატიოსნებას, შეუვალობას, კომპეტენტურობას და მიუკერძოებლობას. ადვოკატმა არ უნდა იმოქმედოს ისე, რომ ეჭვქვეშ დააყენოს მისდამი კლიენტის ნდობა, აღნიშნული თვისებები ადვოკატის პროფესიული ვალდებულებაა.“

7.1 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 6 ივლისის გადაწყვეტილებით დისციპლინურ საქმეზე №017/11, მიიჩნია, რომ კლიენტის ინტერესების კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად დაცვის ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს, თუ ადვოკატი საადვოკატო საქმიანობას არ ეწევა შესაბამის დარგში. "ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-10 და მე-11 მუხლების მიხედვით განსაზღვრულია ადვოკატთა კვალიფიკაციის ძირითადი მოთხოვნები, რომელსაც ადვოკატი უნდა აკმაყოფილებდეს და აღნიშნული კანონის მე-11 მუხლის მერვე პუნქტის მიხედვით ,,ადვოკატს, რომელსაც ტესტირება გავლილი აქვს სპეციალიზაციის მიხედვით, საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლება ეძლევა შესაბამის დარგში."

7.2 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 26 აგვისტოს №030/11 გადაწყვეტილებით ,,საქართველოს კანონმდებლობაზე დაყრდნობით მიიჩნია, რომ დაცვის უფლების განხორციელების არაკვალიფიციურობაზე მიუთითებს, როდესაც ადვოკატი საქმიანობას არ ახორციელებს ადვოკატთა ასოციაციის მიერ ადვოკატთა ერთიან რეესტრში რიცხული სპეციალიზაციის შესაბამისად. ეთიკის კომისია, მხედველობაში იღებს იმ გარემოებას, რომ ადვოკატთა ასოციაცია ადვოკატს ანიჭებს რა კვალიფიკაციას შესაბამისი სპეციალიზაციით, ამის საფუძველზე აძლევს საადვოკატო საქმიანობის განხორციელების უფლებას საერთო, სამოქალაქო ან სისხლის სამართლის მიმართულებით. შესაბამისი კვალიფიკაციის მინიჭებით, ადვოკატთა ასოციაცია უზრუნველყოფს ადვოკატის პროფესიული ვალდებულების - კლიენტის ინტერესთა კვალიფიციურად დაცვის - შესრულებას, რაც კლიენტისათვის შესაძლო ზიანის მიყენების რისკს ამცირებს და მინიმალურ სტანდარტს აწესებს, ასოციაციის მიერ მინიჭებული კვალიფიკაციის შესატყვისად კლიენტის ინტერესების დაცვის თვალსაზრისით."

7.3 ნ. კ. არის ადვოკატი სისხლის სამართლის სპეციალიზაციით /სიითი №2665/. სსიპ ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაცია"-მ და კანონმა მას სისხლის სამართლის მიმართულებით მიანიჭა კვალიფიკაცია და ადვოკატი ვალდებულია კლიენტს მომსახურება გაუწიოს ადვოკატთა ასოციაციის მიერ გაცემულ კვალიფიკაციის დამადასტურებელ მოწმობაში მითითებული სპეციალიზაციის მიხედვით. სამოქალაქო სამართლის საქმეებზე კვალიფიკაციის არქონისას არსებობს საფრთხე, რომ კლიენტი არ იქნება სათანადოდ წარმოდგენილი, რაც კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად წარმომადგენლობის პროფესიული ვალდებულების დარღვევას წარმოადგენს. ადვოკატმა თბილისის საქალაქო სასამართლოს მიმართა სარჩელითა და სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, მაგრამ მისი მოთხოვნა არ დაკმაყოფილდა (2012 წლის 23 თებერვლის განჩინება), შემდეგ ადვოკატმა კვლავ მიმართა სასამართლოს სარჩელის აღძვრამდე უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით, რომელზეც დაუდგინდა ხარვეზი და ხარვეზის შეუვსებლობის გამო ღონისძიების გამოყენებაზე ეთქვა უარი (2012 წლის 15 და 19 მარტის განჩინებები). ეთიკის კომისიის შეფასებით იურიდიული მომსახურების ხელშეკრულების თანახმად, ადვოკატი მ. მ.-ის ინტერესებს სამოქალაქო საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში წარმოადგენდა, თუმცა არ არის მითითება წარმომადგენლობაზე და აღიქმება, რომ იგი როგორც ადვოკატი იცავდა მ. მ.-ის ინტერესებს სისხლის სამართლის საქმეზე და სამოქალაქო სამართლის საქმეზე პირველი ინსტანციის სასამართლოში.

7.4 ეთიკის კომისიამ 2011 წლის 09 ივლისის გადაწყვეტილებაში დისციპლინური საქმეზე №029/11 დაადგინა, რომ: ,,კლიენტს წარმოადგენს პირი, რომლის ინტერესების დაცვის ვალდებულებასაც

საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულებით იღებს ადვოკატი.“ ეთიკის კომისიამ ამავე გადაწყვეტილებაში მიიჩნია, რომ ,,პროფესიული ეთიკური სტანდარტების შესაბამისად ადვოკატს ვალდებულებები ეკისრება კლიენტის წინაშე და ყველა სახის ინფორმაცია, რომელიც მისი საქმის წარმოებასთან არის დაკავშირებული უშუალოდ მას უნდა შეუთანხმოს განსაკუთრებით ისეთი ინფორმაცია, როგორიცაა კლიენტთან საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულების შეწყვეტა“.

7.5 ადვოკატის ვალდებულებაა კლიენტს მიაწოდოს ყველა ინფორმაცია, რაც უკავშირდება მისი საქმის წარმოებას, რათა კლიენტმა იცოდეს მის მიერ მინდობილი საქმის მსვლელობის თაობაზე. აღნიშნული ვალდებულება პირდაპირ კავშირშია კლიენტის ინტერესებთან, რადგან კლიენტი წარმოადგენს საქმის შედეგით დაინტერესებულ პირს და მნიშვნელოვანია, ის ზედმიწევნით ფლობდეს ინფორმაციას მისი საქმის მიმდინარეობის ყველა ეტაპზე.

7.6 ადვოკატის განმარტებიდან ირკვევა, რომ ადვოკატი ნ. კ. მ. მ.-სთან შეთანხმების გარეშე შეხვდა მისი ოჯახის წევრებს, რძალსა და შემდეგ კლიენტის შვილს, ხოლო როდესაც მ. მ.-ის ოჯახის წევრებმა მოითხოვეს საქმის წარმოების შეწყვეტა, შეთანხმებიდან 2 დღეში მ. მ.-ის ვაჟს და რძალს ჩააბარა 1000 და 200 აშშ დოლარი კლიენტის ინფორმირების გარეშე და 2012 წლის 21 აპრილს, ვინაიდან მ. მ.-ის ოჯახის წევრები მოითხოვდნენ მისგან საადვოკატო მომსახურების შეწყვეტას, შეწყვიტა კლიენტთან ხელშეკრულება.

7.7 ადვოკატი ნ. კ. ვალდებული იყო საქმის გარემოებების თაობაზე ინფორმაცია მიეწოდებინა უშუალოდ კლიენტისათვის, მ. მ.-ისათვის და მასთან შეთანხმებით ემოქმედა ოჯახის წევრებთან შეხვედრის შემთხვევაშიც. შესაბამისად, ვინაიდან ადვოკატი კლიენტის ინფორმირების გარეშე შეხვდა მისი ოჯახის წევრებს, ხოლო როდესაც მათ მოითხოვეს საადვოკატო მომსახურების შეწყვეტა, აღნიშნული ინფორმაციის მ. მ.-ისათვის წინასწარ მიწოდების გარეშე შეწყვიტა საადვოკატო მომსახურების ხელშეკრულება და მიბარების ხელშეკრულებით განსაზღვრული თანხის დარჩენილი ნაწილი ოჯახის წევრებს გადასცა, ადვოკატის მიერ დარღვეულია კლიენტის ინფორმირების ვალდებულება. ადვოკატს ევალებოდა შეხვედროდა კლიენტს და პირადად მ. მ.-სთან შეეთანხმებინა მის საქმესთან დაკავშირებით მიღებული გადაწყვეტილებები.

7.8 ეთიკის კომისია არ იზიარებს განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებას ადვოკატის მიერ კლიენტისაგან თანხის სესხების შედეგად დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევას, ვინაიდან საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა–განმარტებებით დადგინდა, რომ მხარეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება და არა მიბარების ხელშეკრულება, ხოლო სესხის ხელშეკრულების პირობების შესრულება–არშესრულების დადგენა ცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა „ადვოკატთა შესახებ“ საქართველოს კანონის 34-ე მუხლის ,,ა“ ქვეპუნქტით; 35-ე მუხლით, ამავე კანონის ,,მე-5 მუხლის „ა“ ქვეპუნქტით, მე-6 მუხლის მეორე პუნქტით; ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-3 მუხლით, მე-5 მუხლით, მე-8 მუხლის მე-5 და მე–6 ნაწილებით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-4 მუხლის მე-5-6 პუნქტებით, მე-19, მე-20 მუხლებით, 39–ე მუხლით, მე-40 მუხლის მეორე პუნქტით და გადაწყვიტა:

1. ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ /სიითი №/ დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმად განისაზღვროს გაფრთხილება.
2. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოთ მხარეებს.
3. ადვოკატ ნ. კ.-ს უფლება აქვს ეთიკის კომისიის გადაწყვეტილება გაასაჩივროს საქართველოს უზენაეს სასამართლოში (თბილისი, ძმ.ზუბალაშვილების ქ.№32) გადაწყვეტილების ჩაბარებიდან ერთი თვის ვადაში.

კომისიის თავმჯდომარე: /ციცინო ცხვედიანი/

კომისიის წევრი: /გია ტაბლიაშვილი/

კომისიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/

კომისიის წევრი: /ზურაბ ძლიერიშვილი/

კომისიის წევრი: /პავლე აბაიაძე/

კომისიის წევრი: /თეა ჭეიშვილი/

კომისიის წევრი: /ზვიად კორძაძე/

კომისიის წევრი: /გოჩა სვანიძე/

კომისიის წევრი: /თორნიკე ბაქრაძე/

კომისიის წევრი: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კომისიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/

კომისიის წევრი: /ია გაბედავა/

ეთიკის კომისიის წევრთა
ეკატერინე გასიტაშვილისა და ზვიად კორძაძის

განსხვავებული აზრი
ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილებაზე

დისციპლინური საქმე N109/12
მ. მ. ადვოკატ ნ. კ.-ის წინააღმდეგ

2014 წლის 10 თებერვალს ეთიკის კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება დისციპლინურ საქმეზე მ. მ.-ის საჩივრის გამო ადვოკატ ნ. კ.-ის მიმართ.

კომისიის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილთან დაკავშირებით, ასევე ადვოკატის მიმართ გამოყენებული სახდელის ღონისძიების - გაფრთხილება- თაობაზე, წარმოვადგენთ განსხვავებულ აზრს.

მხარეთა მიერ წარმოდგენილი განმარტებების, საქმეში არსებული მტკიცებულებების ერთობლიობის საფუძველზე, ეთიკის კომისიის გადაწყვეტილებაში მითითებული დარღვევების გარდა, მიგვაჩნია, რომ ადვოკატმა პროფესიულ საქმიანობაში დაარღვია დამოუკიდებლობის პრინციპი.
დისციპლინურ საქმეში წარმოდგენილი მიბარების ხელშეკრულებითა და მხარეთა ახსნა–განმარტებებით ირკვევა, რომ ადვოკატმა ნ. კ.-მ კლიენტისაგან ისესხა თანხა, რომელიც არ დაუბრუნა მას შეთანხმებულ ვადაში. მოცემულ შემთხვევაში ადვოკატ–კლიენტს შორის არსებული სასესხო ურთიერთობიდან გამომდინარე, დაირღვა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე–2 (დამოუკიდებლობის პრინციპი) და მე–5 (კლიენტის ინტერესთა უპირატესობის პრინციპი) მუხლები.

ამ ფაქტობრივი გარემოების შეფასებისას, ეთიკის კომისიის სრული შემადგენლობისათვის დისციპლინური საქმის #109/12 გადმოცემის გადაწყვეტილებაში (20.01.2014) არის ასახული განხილვის კოლეგიის შეფასება.

ადვოკატ - კლიენტის ურთიერთობაში ადვოკატის მინდობილ პირად არჩევას განაპირობებს ადვოკატის პროფესია, შესაბამისად, ადვოკატს არა მხოლოდ კლიენტის, არამედ საზოგადოების წინაშე ნაკისრი ზნეობრივი და მორალური პასუხისმგებლობიდან გამომდინარე ეკისრება ეთიკური ვალდებულებების იმგვარად შესრულება, რათა საზოგადოების ნდობას იმსახურებდეს პროფესია, რაც ეთიკის კოდექსის მიზნის მიღწევას ემსახურება.

ადვოკატი დამოუკიდებელი უნდა იყოს პროფესიული საქმიანობის განხორციელებისას, რაც გულისხმობს ადვოკატის ვალდებულებას დაიცვას კლიენტის ინტერესები ნებისმიერი სახის, მათ

შორის მისი პირადი ინტერესების გავლენის გარეშე და არ დაუშვას ისეთი ქმედება, რომელიც ადვოკატის პორფესიულ დამოუკიდებლობას შეუქმნის საფრთხეს.

ადვოკატმა ნ. კ.-მ კლიენტისაგან ისესხა თანხა, რითაც გახდა ამ უკანასკნელზე ფინანსურად დამოკიდებული, ამ დროს ადვოკატზე გაცემული რწმუნებულება არა მხოლოდ ფორმალურ - იურიდიული თვალსაზრისით იყო ძალაში, არამედ ადვოკატი წარმოადგენდა კლიენტის ინტერესებს და მომსახურებას უწევდა მას.

წინამდებარე განსხვავებული აზრით არ ვეთანხმებით ეთიკის კომისიის 2014 წლის 10 თებერვლის გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილის 7.8 პუნქტს „ეთიკის კომისია არ იზიარებს განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილების სამართლებრივ შეფასებას ადვოკატის მიერ კლიენტისაგან თანხის სესხების შედეგად დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევას, ვინაიდან საქმის მასალებითა და მხარეთა ახსნა–განმარტებებით დადგინდა, რომ მხარეებს შორის დაიდო სესხის ხელშეკრულება და არა მიბარების ხელშეკრულება“.

მიგვაჩნია, ადვოკატის, როგორც თავისუფალი პროფესიის პირის საქმიანობის თვითრეგულირებისათვის, ეთიკის კომისიის მიერ დისციპლინურ საქმეზე უნდა შეფასდეს ადვოკატის მიერ რამდენადაა დაცული ეთიკური ვალდებულება. ეთიკის კომისიის გადაწყვეტილების 7.8 პუნქტში მითითებულია, რომ „სესხის ხელშეკრულების პირობების შესრულება–არშესრულების დადგენა ცდება ეთიკის კომისიის კომპეტენციას“, რასაც ვეთანხმებით, თუმცა, ადვოკატის პროფესიული საქმიანობის შესრულებისას, დაირღვა თუ არა ადვოკატის პროფესიული დამოუკიდებლობის პრინციპი საკუთარ კლინტთან სესხის ხელშეკრულების გაფორმებით, უნდა შეფასდეს ეთიკური ვალდებულების თვალსაზრისით, რაც სრულიადაც არ ნიშნავს ეთიკის კომისიის მიერ კონკრეტული ხელშკრულების პირობების შესრულება - არშესრულების დადგენის საჭიროებას.

ადვოკატმა ნ. კ.-მ დაარღვია პროფესიულ საქმიანობაში ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი - დამოუკიდებლობის პრინციპი, კერძოდ, საკუთარ კლიენტთან სესხის ხელშეკრულების დადების ფაქტით, ადვოკატ–კლიენტის ურთიერთობასთან ერთად ჩამოყალიბდა მოვალე–კრედიტორის ურთიერთობაც, რამაც შექმნა ადვოკატისა და კლიენტის ინტერესების დაპირისპირების საფრთხე, რაც ადვოკატის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე, მისსავე პროფესიულ დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის ფაქტორია, ხელს უშლის ადვოკატის დამოუკიდებელ პროფესიულ განსჯას და ეწინააღმდგება კლიენტის საუკეთესო ინტერესებს.

ვიზიარებთ განხილვის კოლეგიის გადაწყვეტილებაში მითითებულ შეფასებას: “ადვოკატმა უნდა აირიდოს ყოველგვარი ზეგავლენის, მათ შორის, პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ზემოქმედების ფაქტორი. ადვოკატმა ნ. კ.-მ აღნიშნა განხილვის კოლეგიის 20 იანვრის სხდომაზე, რომ ფინანსური დამოკიდებულება ყველა ადამიანისთვის ზღუდავს დამოუკიდებლობის ხარისხს”.

ეთიკის კომისიამ დისციპლინურ საქმეზე #020/13 ადვოკატ-კლიენტის ურთიერთობის ფარგლებში ადვოკატსა და კლიენტს შორის დადებული სესხის ხელშეკრულების შეფასებისას, ადვოკატის პროფესიულ დამოუკიდებლობაზე ზეგავლენის ერთ-ერთ ფაქტორად ადვოკატის პირადი ინტერესი მიუთითა და განმარატა: ასეთ შემთხვევაში იქმნება დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევის საფრთხე, რადგან შესაძლებელია, რომ ადვოკატის (მოვალე) და კლიენტის (კრედიტორი) ინტერესები ერთმანეთს დაუპირისპირდეს, რამაც შესაძლოა გავლენა მოახდინოს ადვოკატის დამოუკიდებლობაზე მისი პირადი ინტერესებისაგან, რაც სავარაუდოდ ხელისშემშლელი ფაქტორი იქნება საიმისოდ, რომ ადვოკატმა დამოუკიდებელი პროფესიული განსჯა განახორციელოს. ადვოკატმა უნდა აირიდოს ყოველგვარი ზეგავლენის, მათ შორის პირადი ინტერესებიდან გამომდინარე ზემოქმედების ფაქტორი.“

დამოუკიდებლობის პრინციპის დარღვევა და კლიენტთან სასესხო ურთიერთობა გახდა ადვოკატის მხრიდან კლიენტის მომსახურების დაუსაბუთებლად შეწყვეტის საფუძველი.

„ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისცილპინური წარმოების შესახებ“ დებულების მე-2 მუხლი მეოთხე პუნქტის შესაბამისად, დისციპლინური სახდელის დაკისრებისას გათვალისწინერბული უნდა იქნეს დისციპლნური გადაცდომის სიმძიმე და მიყენებული ზიანი. ადვოკატის პროფესიულ საქმიანობაში დაშვებული ეთიკური ვალდებულებების დარღვევების სიმძიმის გათვალისწინებით, მიგვაჩნია, რომ ნ. კ.-ის მიმართ ადეკვატური და პროპორციული სახდელის სახით გამოყენებული უნდა იქნეს 6 (ექვსი) თვით საქმიანობის უფლებამოსილების შეჩერება.

ეკატერინე გასიტაშვილი

ზვიად კორძაძე